საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 276

16 04 2018 წ.

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 12 აპრილის №409501 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანების დანართით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესში“ და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება

1. აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (გარდა მონიტორინგისა) აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება გამოითვლება ერთი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესამოწმებელი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების მიხედვით ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი), ვეტერინარის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისა) აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 400 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის ორ კვალიფიკაციაზე, ამ პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 500 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო თუ საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით გადის სამ კვალიფიკაციაზე - 600 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

4. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე ერთი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 700 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

5. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 375 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

6. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 375 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

7. აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება ერთი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შეადგენს 250 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

8. იმ შემთხვევაში, თუ ერთი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აფასებს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, ამ პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 600 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო სამი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - 700 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

ბ) ორი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელთაგან ერთი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და არცერთი არ არის რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, ამ პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 800 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო სამი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელთაგან არანაკლებ ერთი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და არცერთი არ

არის რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა) შემთხვევაში - 1000 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

გ) ორი რეგულირებადი ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, ამ პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 900 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო სამი რეგულირებადი ან/და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - 1100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

დ) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამას, ამ პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 900 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით);

ე) ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, ამ პროგრამების აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 900 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

9. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტისათვის ამ მუხლის მიხედვით ჯამურად ასანაზღაურებელ თანხას ემატება 100 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

10. ამ მუხლის მიხედვით გათვალისწინებული აკრედიტაციის ექსპერტთა ანაზღაურების გაანგარიშების ალტერნატიული შესაძლებლობების არსებობისას, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება შესაძლო მაქსიმალური ოდენობით.

11. მონიტორინგის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, მონიტორინგის ტიპი, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და ამ სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტის ანაზღაურების გამოსათვლელად შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა გამრავლდება ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილ ავტორიზაციის ექსპერტის დღიურ ანაზღაურებაზე."

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე